ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1538314

ნომერი: AR1257538

თარიღი : 13.10.2014

გაცემის თარიღი : 16.10.2014

გაცნობის თარიღი : 16.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის თაობაზე, რომლითაც ითხოვთ შანდორ პეტეფის ქ. #27–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.17.10.005.063 მრავალფუნქციური (სავაჭრო, საცხოვრებელი) შენობა–ნაგებობის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ:

არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოჯვნამდე არსებულ საკადასტრო ერთეულზე 2007 წლის 14 აგვისტოს მომზადებულია #9298 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (ნ/1877-1; 2011.07.11წ) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა ნაწარმოები არ არის www.tas.ge–ზე პარარელურად საკითხი უნდა დააყენოთ ზემოაღნიშნული აქტების გაუქმებაზე (აქტების გასაუქმებლად საჭიროა აქტის მესაკუთრის ან მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან დაფიქსირდნენ თანაგანმცხადებლად);

ამასთან გაცნობებთ რომ სიმაღლის სხივის დადგენისას საზოგადოებრივი სივრცე განისაზღვრება როგორც შანდორ პეტეფის ქუჩის ასევე უძოს შესახვევის მხრიდან;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 13 ოქტომბერს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 20 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 09 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.